



სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული
მომზადების ცენტრის“ დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N----

----- 2018 წელი

ქ. თბილისი

**„სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“
მოდულური პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“ სსიპ -
საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის
2015 წლის 16 ნოემბრის №163 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ“ 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 სექტემბრის №176/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ წესდების“ მე-5 მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეტანილ იქნას ცვლილება სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის 2015 წლის 16 ნოემბრის „სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ მოდულური პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“ №163 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული მოდულური პროგრამების განხორციელების მონიტორინგის მიზნით შექმნილი ჯგუფი ჩამოყალიბდეს დანართი №1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს „სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ მოდულური პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის ინსტრუქცია“ ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად.
3. დაევალოს კოლეჯის საქმისმწარმოებელს, შორენა მეფარიძეს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა და კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის
პროფესიული მომზადების ცენტრის“
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნოდარ ხარაზიშვილი

1. მანანა ნიაზაშვილი - სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, ჯგუფის ხელმძღვანელი;
2. მარინე წიკლაური - სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, ჯგუფის წევრი;
3. მათა ტორთელიძე - სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, ჯგუფის წევრი;
4. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო მოდულის წამყვანი პროფესიული განათლების მასწავლებელი, ჯგუფის წევრი.

**სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“
მოდულური პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის ინსტრუქცია**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.

1. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - მოდულური პროგრამის) დანერგვის წარმატებით განხორციელების პროცესის უზრუნველსაყოფად საჭიროა მუდმივი მონიტორინგი, რომლის მიზანია: მოცემული ვითარების შესწავლა, მონაცემების შეგროვება, ანალიზი, საჭიროებების განსაზღვრა, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და ჩარევების განხორციელება. აღნიშნულის განხორციელების მიზნით, იქმნება სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ მოდულური პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფი (შემდგომში - მონიტორინგის ჯგუფი).
2. შიდა შემოწმება (ვერიფიკაცია) - ხარისხის შემოწმების სისტემა, რომელსაც ახორციელებენ შიდა შემოწმებლები, მოდულური პროგრამის ფარგლებში და რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ შეფასებები იყოს სწორი, ხოლო შეფასების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება ზუსტი.

მუხლი 2. მონიტორინგის ჯგუფი.

1. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება მონიტორინგის ჯგუფი, რომელშიც შეიძლება შევიდეს:
 - ა) კოლეჯის დირექტორის მოადგილე ან/და კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი;
 - ბ) მოდულური პროგრამის ხელმძღვანელი ან/და წამყვანი პროფესიული განათლების მასწავლებელი;
 - გ) სასწავლო დარგის მენეჯერები.
2. მონიტორინგის ჯგუფს ჰყავს ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელმაც უნდა განახორციელოს შემდეგი ამოცანები:
 - ა) მონიტორინგის ჯგუფის წევრთა და მოდულის განმახორციელებელი პირების აქტივობების კოორდინირება;
 - ბ) მონიტორინგის პროცესის კითხვარების შეგროვება და ანალიზი;
 - გ) მოხსენების მომზადება გარე მონიტორინგის ჯგუფისათვის.
3. მონიტორინგის ჯგუფის მიერ განხორციელებული თითოეული აქტივობა ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს შიდა მონიტორინგის ყველა წევრი.

მუხლი 3. მონიტორინგის ჯგუფის ამოცანები.

მონიტორინგის ჯგუფის ამოცანებია:

- ა) შიდა შეფასების ჩატარება, ხარისხის სისტემის უზრუნველყოფა და შეფასება;
- ბ) შემფასებლებისთვის დახმარების გაწევა და სათანადო მიმართულებების უზრუნველყოფა;
- გ) შემფასებლების მუშაობის ხარისხის მონიტორინგი;
- დ) ხარისხის გარე უზრუნველყოფის მოთხოვნების დაკმაყოფილება;

- ე) მონიტორინგის პროფესიის კითხვარის შეგროვება და შეგროვებული მონაცემების ანალიზი;
- ვ) შეფასების ინსტრუმენტების ავთენტურობის, ვალიდურობის და საიმედოობის შემოწმება;
- ზ) შემფასებლების კონსულტირება: რჩევები შეფასების პროცედურასთან/ინსტრუმენტებთან მტკიცებულებებთან დაკავშირებით;
- თ) შემფასებლების სასწავლო საჭიროებების იდენტიფიცირება;
- ი) პერსონალის განვითარების დაგეგმვა;
- კ) პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების ანალიზი;
- ლ) გარე მონიტორინგის ჯგუფისთვის ანგარიშის მომზადება და თანამშრომლობა.

მუხლი 4. შიდა მონიტორინგის განხორციელების პროცესი.

შიდა მონიტორინგის პროცესი მიმდინარეობს შემდეგ ეტაპებად:

- ა) მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ სასწავლო გეგმის და მის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა;
- ბ) მონიტორინგის ჯგუფის წევრების დასწრება მეცადინეობებზე;
- გ) მონიტორინგის ჯგუფის სხდომა, რომელსაც დაესწრება ადმინისტრაცია და მოდულის განმახორციელებელი პირები, სადაც განიხილება მოდულის ფარგლებში წარმოშობილი პრობლემები და რეკომენდაციები;
- დ) შიდა მონიტორინგის ანგარიშის მომზადება;
- ე) მომავალი მოდულის გეგმის განხილვა და საჭიროებების მიხედვით კორექტირება;
- ვ) მოდულის სწავლებისას გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით მოსალოდნელი პრობლემური საკითხების პრევენცია.

მუხლი 5. სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგი.

სწავლის შედეგების შეფასების პროცესი იყოფა ძირითად შესასრულებელ პროცედურებად:

- ა) სწავლის შედეგების გაცნობა;
- ბ) შესრულების კრიტერიუმების გაცნობა;
- გ) შეფასების ინსტრუმენტების გაცნობა;
- დ) შეფასების ინსტრუმენტების შემოწმება, რამდენად არის თავსებადი სწავლის შედეგებთან და შესრულების კრიტერიუმებთან;
- ე) შეფასების შესაძლებლობების დაგეგმვა;
- ვ) მტკიცებულებების შემუშავება და შეგროვება;
- ზ) მტკიცებულებების განხილვა კრიტერიუმებთან მიმართებაში;
- თ) მტკიცებულების მიხედვით შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების დადგენის შესაძლებლობა;
- ი) შეფასების შესახებ გადაწყვეტილება.

მუხლი 6. მონიტორინგის განხორციელების მოსალოდნელი შედეგები.

მონიტორინგის განხორციელების მოსალოდნელი შედეგებია:

- ა) მოდულური პროგრამის წარმატებით დანერგვა;
- ბ) განხორციელების დროს მიმდინარე პრობლემების/გამოწვევების სწორი და დროული იდენტიფიკაცია/პროგნოზირება;
- გ) გამოვლენილი პრობლემების ეტაპობრივი აღმოფხვრის უზრუნველყოფა;
- დ) განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელშემწყობი ცალკეული მიდგომების დანერგვა.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები.

ა) მონიტორინგის ინსტრუქციის შემუშავების მიზანია, სწორად წარმართოს მოდულური პროგრამის განვითარებაზე მიმართული საქმიანობა.

ბ) მონიტორინგის ინსტრუქციას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი და მასში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ დირექტორის ბრძანებით.